სახელმწიფოს მონეტარული და არამონეტარული ინსტრუმენტები აგრარული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სოფლის მეურნეობა ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი და იმავდროულად, ეკონომიკის დანარჩენი დარგების განვითარების პირობებისა და დინამიზმის მნიშვნელოვანწილად განმსაზღვრელი ფაქტორია. თავის მხრივ, ამ დარგის მდგომარეობას, განვითარების დინამიზმს სამი უმნიშვნელოვანესი გარემოება განსაზღვრავს:

ა) წარმოების წესი (წარმოების ფაქტორების ერთმანეთთან დაკავშირების, ურთიერთობის ფორმა);

ბ) ეროვნული მეურნეობის აღნიშნული დარგის (სექტორის) ამოცანების, პოტენციალისა და განვითარების მიმართულება და

გ) შესაბამისი ფინანსური რესურსები.

თუ რომელიმე დასახელებულ ფაქტორთაგან არ პასუხობს დროის მოთხოვნებს, არ შეესაბამება მათ, საქმიანობა აღნიშნულ სფეროში დაბალეფექტიანი რჩება და დარგს ქრონიკული ჩამორჩენა და სტაგნაცია ემუქრება. თეზისი, რომ ეროვნული მეურნეობის ფაქტობრივად ყველა დარგი სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს არა მარტო რეგულაციებს, არამედ ამა თუ იმ ზომით ფინანსურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის მეურნეობისათვის, სადაც, ადგილი აქვს, ერთი მხრივ, ისტორიულ ჩამორჩენას შრომის ფონდშეიარაღების, ტექნიკური აღჭურვილობის, მწარმოებლურობის ხაზით, მეორე მხრივ კი წარმოების საბოლოო შედეგების დიდწილად ბუნებრივ-კლიმატური პირობებით განპირობებულობას. ეკონომიკისადმი, მისი ცალკეული დარგებისა თუ სექტორებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა ატარებს როგორც მონეტარულ (ასიგნებები, სუბსიდირება, სისტემატური და ერთდროული ტრანსფერები სტიქიური უბედურებების თუ სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ზარალის დასაფარად და სხვ.), ისე არამონეტარულ (სამართლებრივი რეგულირება, საგადასახადო რეჟიმი, პრეფერენციები რეგიონალური თუ წარმოების ცალკეული სახეობების/პროფილის მიხედვით, მწარმოებლების, ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების მხარდამჭერი პროგრამები და ა.შ.) ფორმებს. ამასთან, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ არსებობს ხისტი წყალგამყოფი ხაზი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ხსენებულ ფორმებს შორის. მაგალითად, აგრარული სექტორის მხარდამჭერი ზოგიერთი პროგრამა (მაგ., „აწარმოე საქართველოში“ და სხვ.) ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან საბანკო კრედიტის პროცენტის დაფარვაში აქტიურ თანამონაწილეობას. სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის თითოეული ასეთი ფორმის საბოლოო მიზანი აგრარული სექტორის ეფექტიანობის ამაღლება, ამ სფეროში

დასაქმებულთა მაღალი მოტივაციის უზრუნველყოფა და სოფლად ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესებაა.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, აგროსასურსათო პროდუქცია, სახელმწიფოს მონეტარული და არამონეტარული ინსტრუმენტები, სათემო კოოპერაცია, სასურსათო უსაფრთხოება.

JEL: E63; Q18

DOI: 10.52244/c.2024.11.26

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა მიმართულია ამ დარგის ჩამორჩენის დაძლევის, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და აგრარული შრომის პრესტიჟულობის ამაღლებისაკენ. ამ ასპექტით, მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები შეინიშნება დარგის როგორც მონეტარული, ისე არამონეტარული მხარდაჭერის თვალსაზრისით.

სახელმწიფოს მხრიდან, წმინდა მონეტარული ასპექტით, მზარდი ყურადღების გამოხატულებას წარმოადგენს დარგის საბიუჯეტო დაფინანსების ზრდა (მხოლოდ 2022 წელს 2010 წელთან შედარებით - 20.9-ჯერ - 32.6 მლნ. ლარიდან 680.6 მლნ. ლარამდე). მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სექტორში წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სახელმწიფო ასიგნებების ზრდას, რაც ერთი შეხედვით, სოფლის მეურნეობაში აღნიშნული სახსრების გამოყენების, შრომის ორგანიზების არასაკმარის ეფექტიანობაზე მიუთითებს. - თუ სახელმწიფო ასიგნებებს და შედეგებს მოკლე, უტილიტარული პრინციპით („დანახარჯები - შედეგი“) შევხედავთ, მდგომარეობა მართლაც დრამატულად მოგვეჩვენება: 2012 წელს სახელმწიფოს მიერ აგრარულ სექტორში დახარჯულ ყოველ ერთ ლარ საბიუჯეტო სახსრებზე მოდიოდა 73.3 ლარის პროდუქცია, 2023 წლისთვის კი 10.3-ჯერ ნაკლები - 7.1 ლარი.

მაგრამ აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს ცალსახად ხისტ უარყოფით კორელაციას საბიუჯეტო სახსრების მატებისა და მათი ეფექტიანობის კლებას შორის, რადგანაც სახელმწიფოს მიერ გაღებული სახსრების დანიშნულება არ არის მხოლოდ და ექსკლუზიურად წარმოების მასშტაბების ზრდა - მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი (და - ფაქტობრივად, უფრო მეტიც) ასპექტი დარგში სამეწარმეო საქმიანობისათვის მასტიმულირებელი პირობების შექმნა, გარემოს ფორმირებაა. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე გავლენას ახდენენ როგორც სახელმწიფო ასიგნებები, ისე (და უფრო მეტადაც) კერძო ასიგნებები და ინვესტიციები, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, აგრარული პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის მაღალი დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზეც. თუ ამ უკანასკნელ ფაქტორებს (კერძო სექტორის ინვესტიციებისა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების როლი აგრარულ წარმოებაში), შეიძლება აღმოვჩნდეთ

სტატისტიკური მონაცემების ილუზიურ ტყვეობაში, რომლითაც სახეზეა ორი, ფაქტობრივად ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია: სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების აბსოლუტური და შეფარდებითი სწრაფი ზრდა (საბიუჯეტო ხარჯებში სოფლის მეურნეობის წილი 2010 წლის შემდეგ 6-ჯერ გაიზარდა - 0.5 პროცენტიდან 3.0 პროცენტამდე) და ამ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების წილის **სისტემატური** და აბსოლუტური მოცულობის **პერიოდული** შემცირების ტენდენცია.

დიაგრამა 1



დღემდე შენარჩუნებული აგრარული სექტორის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი არა იმდენად სახელმწიფოს მიერ აგრარულ სექტორზე განხორციელებული ასიგნებების დეფიციტია, რამდენადაც ჯერ კიდევ ნაკლებად ეფექტიანი სამეწარმეო გარემო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აგრარული წარმოების მაღალ მოტივაციას. მაღალეფექტიანი ცალკეული ფერმერული მეურნეობები, წარმოებები მხოლოდ ადასტურებენ, რომ გარღვევა ამ სფეროში ჯერჯერობით უფრო სეგმენტურია, ვიდრე სისტემური.

აღნიშნული თეზისის სისწორეს საქართველოს უახლესი პერიოდის ეკონომიკური ისტორიაც ადასტურებს. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ თუ ბოლო 13 წლიდან (2011-2023 წწ.) წინა წელთან შედარებით საქართველოს ეკონომიკა შემცირდა მხოლოდ **ერთხელ** (2020 წ.), ისიც კოვიდპანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, იმავე პერიოდში აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება შემცირდა **ექვსი** წლის განმავლობაში (2012, 2014, 2016, 2017, 2022, 2023 წწ.). შედეგად, 2023 წელს 2010 წელთან შედარებით, თუ საქართველოს მშპ თითქმის გაორმაგდა (+95.9%), სოფლის

მეურნეობაში დამატებული ღირებულება გაიზარდა მხოლოდ 30.5 პროცენტით და შესადარ ფასებში 3804.2 მლნ. ლარი შეადგინა (ცნობისათვის: 2021 წელს ზრდამ 2010 წელთან შეადგინა 36.7% და აბსოლუტურმა მოცულობამ - 3984.7 მლნ. ლარი, 2022 წელს, შესაბამისად, 34.3 პროცენტით და 3914.8 მლნ. ლარი). ფაქტობრივად, 2023 წელს 2021 წელთან შედარებით შექმნილი დამატებული ღირებულება სოფლის მეურნეობაში შემცირდა 4.5 პროცენტით, მაშინ როდესაც ეროვნული მეურნეობის დანარჩენ დარგებში გაიზარდა 20.8 პროცენტით.

დიაგრამა 2



 აღნიშნული ვითარება არ და ვერ აიხსნება მხოლოდ აღნიშნულ სფეროში დასაქმებულთა არაკვალიფიციურობით, არაგერგილიანობით, ბიუროკრატიული მოუქნელობით, არასახარბიელო კლიმატური პირობებით და სტიქიით მიყენებული ზარალით. - მიზეზი უფრო ღრმა და სისტემურია. საქმე ეხება შრომის ორგანიზაციისა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შრომითი პირობებსა და მოტივაციის ასპექტს.

ამ საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი სახსრების მოცულობით სოფლის ჩამორჩენა ქალაქისგან ყოველწლიურად მხოლოდ დაახლოებით 0.8 პუნქტით მცირდებოდა და ამჟამინდელი ჩამორჩენა 22 პროცენტს აღემატება, რის გამოც აღნიშნული ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში მის დაძლევას კიდევ დაახლოებით 27 წელი დასჭირდება.

დიაგრამა 3



სოფლის მცხოვრებთა ქალაქად მაცხოვრებლებთან შედარებით ჩამორჩენის შემცირების ტრენდის შენარჩუნება, მიუხედავად მისი პოზიტიური ბუნებისა, მაინც აბსოლუტურად არასაკმარისია, რადგანაც ჯერადად - **დაახლოებით 2.5-ჯერ - უფრო სწრაფად მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება.** საჭიროა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის, კეთილდღეობის შემცირების დინამიზმის გაძლიერება, რაც სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის უფრო აქტიურ, ქმედით ფორმებს ითხოვს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები აგრარულ სექტორში შემდეგია: სტრუქტურული რეფორმირება, ორგანიზებისა და მართვის ისეთი ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ, მაღალეფექტიან და მაღალმოტივაციურ წარმოებას, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მოზიდვას, გზას გაუხსნის იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიას, დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებით უზრუნველყოფას, სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციული და ინსტიტუციური რისკების შემცირებას და სხვა.

ამგვარად, სახელმწიფოს როლი აგრარული წარმოების ზრდაში განხილულ უნდა იქნას არა მხოლოდ ვიწრო, „მონეტარულ“ ასპექტში („სუბსიდირება - წარმოების მოცულობა“), არამედ არამონეტარულ, ინსტიტუციონალურ ასპექტშიც („სამეწარმეო გარემო - წარმოების

მოცულობა“). ამ უკანასკნელ ასპექტში განხილვისას სახელმწიფო სუბსიდირების არსი და დანიშნულება მიმართული იქნება აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურული, ორგანიზაციული, ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად, დარგობრივი პროდუქციის ზრდის სტრატეგიული ამოცანა კი უნდა გადაწყვიტოს სამართლებრივმა ფონმა, წარმოების ფაქტორების მაღალეფექტიანი კავშირების განმსაზღვრელმა და წამახალისებელმა წესმა. ეს უკანასკნელი უნდა გულისხმობდეს სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებს, მეთოდებსა და მასშტაბებს, წახალისების ფორმებს *(სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება, აგროდაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის სუბსიდირება* და სხვ.). მაგალითად, აგრარულ სექტორში სერიოზული წარმატების მიღწევა, შიგადარგობრივ და დარგთაშორის მზარდ კონკურენციულ ბრძოლაში წარმოუდგენელია ციფრული ტრანსფორმაციის გარეშე. სწორედ ამ უკანასკნელის დონე და ამ სფეროში დასაქმებულ პირთა ინტერნეტსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე სისტემებზე წვდომის მასშტაბები დიდწილად განსაზღვრავს საბოლოო წარმატების მასშტაბებს როგორც ზოგადად, ისე ჩვენი ქვეყნისათვის ისეთ ტრადიციულ სფეროებში, როგორებიცაა მევენახეობა-მეღვინეობა.

სახელმწიფოს ძალისხმევა, მათ შორის საბიუჯეტო სუბსიდირების სისტემა, მასშტაბები და სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს აგრარული სექტორის განვითარების ინოვაციური მოდელის რეალიზებას, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს საქართველოს კონკურენტული უპირატესობებს, სახავდეს იმ გზებსა და საშუალებებს, რაც ეროვნული მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს აარიდებდა „წყალქვეშა რიფებს“ - კონკურენტუნარიანობის მხრივ ძირითადი სისუსტეებს და შესთავაზებდა მათი დაძლევის გზებს. ზედმეტი მოკრძალების გარეშე უნდა ითქვას, რომ სრული წარმატება ამ მხრივ შეუძლებელი იქნებოდა ქართული, ეროვნული ტრადიციების სპეციფიკის გათვალისწინების გარეშეც.

ამავე დროს, სახელმწიფოს როლი აგრარული წარმოების ამაღლების პროცესში წარმოუდგენელია ორი უმნიშვნელოვანესი, ერთდროული და თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული არამონეტარული პროცესის - **სამეწარმეო საქმიანობისა** და **სათემო კოოპერაციის** ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის გარეშე.

მიუხედავად ბოლო წლების წინსვლისა, სამეწარმეო აქტიურობა სოფლად ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეროვნული მეურნეობის დანარჩენ დარგებში არსებულ ვითარებას, რაზეც სამეწარმეო საქმიანობით გამოშვებული პროდუქციის დამატებულ ღირებულებასთან თანაფარდობის მაჩვენებლის ეროვნული მეურნეობის დანარჩენი დარგების ანალოგიურ მაჩვენებელთან ექვსჯერადი ჩამორჩენაც მეტყველებს.

ჩვენი ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით, აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე მიზეზთა გამო თითქმის მასობრივად უარყოფილი კოოპერაციის იდეის ხელახალი რებრენდინგი, კოოპერაციული წარმოებისათვის მასშტაბური და საყოველთაო ხასიათისათვის როგორც სამართლებრივი, ისე ინტენსიური აკადემიური, ვერბალური და მედია-მხარდაჭერა. 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული აქტიური ბიზნეს-სუბიექტებისგან აგრარულ სექტორში საქმიანობდა მხოლოდ 3682 სუბიექტი (საერთო რაოდენობის მხოლოდ 1.43%);

მოქმედი იყო მხოლოდ 158(!) კოოპერატივი, თანაც არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში.

დიაგრამა 4



ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: **საკუთრების,** რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და **მასშტაბური წარმოების,** რომელიც განაპირობებს ერთს მხრივ – ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

ამ ასპექტით, აუცილებელია რომ „მოძრაობას ქვემოდან“ (მეწარმეთა ძალისხმევის, რესურსების, ტექნიკის და ა.შ.) კოოპერაციულ გაერთიანებას პარალელურ რეჟიმში მოჰყვეს „მოძრაობა ზემოდან“ - სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერა აღწარმოების ორგანიზაციის ამგვარი ფორმატისათვის. ამ ორმხრივ მოძრაობას ექნებოდა კიდევ ერთი პოზიტიური, „საგარეო“ ასპექტი: ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს: რაც უფრო გამსხვილებული იქნება წარმოება, მით უფრო მეტი ინვესტიციის (მათ შორის საზღვარგარეთული ინვესტიციის) მოზიდვის მოტივაცია და პოტენციალი იარსებებს. - ამჟამად, მაგალითად, აგრარულ სექტორში უცხოური ინვესტიციების წილი საგრძნობლად ნაკლებია ამ დარგის წილთან ქვეყნის მშპ-ში (2021-2023 წლების მიხედვით, შესაბამისად, 5.1% და 6.9%).

რადგანაც სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე გავლენას ახდენს ძირითადი პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებული რიგი ნეგატიური ფაქტორები, ამიტომ გასათვალისწინებელია აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის სწორედ რომ წარმატებული მსოფლიო გამოცდილება. არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადექვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, ცალსახად გამოიწვევს ნეგატიურ შედეგს მთავრობის მიერ გატარებული მასშტაბური ღონისძიებების ეფექტიანობასა და ნავარაუდევ სისტემურ-სინერგიულ შედეგზე. და პირიქით - სამეწარმეო პროცესმა და კოოპერაციამ, როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის კომპლექსური სისტემის ორგანულმა ნაწილმა, თვალსაჩინო პოზიტიური შედეგები მოიტანა და უზრუნველყო მრავალი ქვეყნის არა მარტო აგრარული სექტორის მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა, არამედ სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობის არსებითი ამაღლებაც.

არ შეიძლება არ ითქვას სახელმწიფოსა და აგრარული სექტორისადმი დამოკიდებულების ისეთ „ყველაზე არამონეტარულ“ ასპექტზე, როგორიცაა *სასურსათო უსაფრთხოება* და *სურსათის უვნებლობა,* აქ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

ა) სურსათის უვნებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კუთხით;

ბ) ქვეყნის ძირითადი პროდუქტებით უზრუნველყოფაში იმპორტზე მაღალი, მეტისმეტი დამოკიდებულების თავიდან აცილება, იმპორტის სამამულო პროდუქციით რაციონალური და ეფექტიანი ჩანაცვლება;

გ) შინამეურნეობათა უზრუნველყოფა კვების ძირითადი პროდუქტებით მოხმარების რაციონალური (რეკომენდირებული) ნორმების პირობებში.

აღნიშნული ასპექტები პირდაპირ, ხისტად არ უკავშირდება აგრარული პროდუქციის ქვეყანაში წარმოების ზრდას, თუმცა საჭიროებს სახელმწიფო რესურსების, მათ შორის ასიგნებების საკმაო მოცულობას ხსენებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის მოსახლეობის ძირეული სამომხმარებლო ინტერესების დაცვას.

იმისათვის, რომ გაიზარდოს აგრარული პროდუქციის წარმოება, აქ დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ერთობა. - სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ აქ სეგმენტური წარმატება არ ნიშნავს საბოლოო წარმატებას - აუცილებელია სისტემური, კომპლექსური პოზიტიური შედეგი. - თავისთავად, **მეტი პროდუქციის წარმოება** არ ნიშნავს წარმატებას, თუ აღებული მოსავლის დიდი ნაწილი ნადგურდება, კარგავს კონდიციას, არ და ვერ ექვემდებარება დროულ შენახვას და გადამუშავებას. ამიტომ აუცილებელია პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის პროცესების უწყვეტობა და წარმოებისა და მოსავლის აღებ-დაბინავება-გამოყენებისას დანაკარგების მინიმიზაცია.

აგრარულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან წარმოების არამონეტარული სტიმულირების პროცესი დაასრულებს აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის მასშტაბების ზრდას, რომლის წლიური მოცულობა უკვე საგრძნობლად აღემატება 2.0 მლრდ. აშშ დოლარს.

სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის და კოოპერირების წახალისების პროცესი გულისხმობს მიწების პარცელიზაციის პრობლემის დაძლევასაც. მეურნეობათა ზომის სიმცირე, როდესაც ერთი მეურნეობის მფლობელობაში არსებული სავარგულის საშუალო ფართობი 1.1 ჰექტარია, თანაც როგორც წესი, არა ერთიანად, არამედ რამდენიმე ნაკვეთად დაყოფილი, არ იძლევა ასეთ დანაწევრებულ სივრცეში მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელებისა და თანამედროვე, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის არამონეტარული მხარდაჭერის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სოფლად ინფრასტრუქტურის (მოწესრიგებული გზები, წყლით, ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფა...). აღნიშნული გარემოება, იმის გარდა, რომ ამცირებს საწარმოო დანაკარგებს და დიდ როლს ასრულებს მოწეული მოსავლის ხარისხისა და კონდიციის შენარჩუნებაში, ქმნის სოფლად თანამედროვე სტანდარტებით ცხოვრების პირობებს.

ფართო გაგებით სახელმწიფო მხარდაჭერის არამონეტარულ ფორმას და შესაბამის ინფრასტრუქტურას უნდა მივაკუთვნოთ ასევე მეწარმეობის განვითარების ცენტრები და სააგენტოები, სახელმწიფო ცენტრალური და მუნიციპალური ფონდები, სალიზინგო კომპანიები, საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრები, საგარანტიო ფონდები და სხვ. ბუნებრივია, რომ **საინვესტიციო** და **საგარანტიო ფონდების** შექმნა, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს (და დონორი ორგანიზაციების) აქტიური ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით.

და ბოლოს. სახელმწიფოს აქტიური როლი აგრარული სექტორის მხარდაჭერაში წარმოუდგენელია მეცნიერების ხაზით, ინოვაციებისა და კვლევების სფეროში მხარდაჭერის გარეშე. სახელმწიფომ უნდა დაძლიოს ის შეზღუდვა, რომელსაც აქვს ადგილი იმ სამეცნიერო სიახლეებზე და მიღწევებზე, რასაც აგრარულმა მეცნიერებამ მიაღწია ბოლო ათეული წლების განმავლობაში მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ფაქტობრივად, იმავეს თქმა შეიძლება აგროსასურსათო პროდუქტების უსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმის შესახებაც, სადაც შედეგის მიღწევა ფაქტობრივად, ექსკლუზიურად სახელმწიფოს შესაძლებლობაზეა დაფუძნებული.

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ახალი ელემენტების დანერგვა იძლევა საშუალებას ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნისა, რაც თავის მხრივ ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საწარმოო და საფინანსო ურთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე.

ფაქტობრივად, აგრარული სექტორის მდგრადი და დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ მონეტარული და არამონეტარული ინსტრუმენტების ერთობლივი, კომლექსური გამოყენებითაა შესაძლებელი.

დასკვნა

საქართველოს აგრარული პოლიტიკა განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, საბიუჯეტო რესურსების მატების კვალობაზე აგრარული სექტორის დაფინანსების საგრძნობ აბსოლუტურ და შეფარდებით მატებას. იმავდროულად, სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა უფრო საგნობრივი და ეფექტიანი ხდება, მოიცავს რა არა მარტო დარგის განვითარებისათვის ორგანიზაციული და ინსტიტუციური ფორმების სიმრავლეს, არამედ დარგის რეგიონული და სექტორალური განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს. მთლიანობაში, სახელმწიფოს მხრიდან აგრარული სექტორის მხარდაჭერა, ამ მხარდაჭერის მონეტარული და არამონეტარული ფორმები, ემსახურებიან არა მარტო აგრარული შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად ტრანსფორმაციას, არამედ მათ აქვთ გაცილებით ვრცელი პოზიტიური შედეგი: წარმატებული, მოწინავე სოფლის მეურნეობა გულისხმობს არა მარტო აგრარული პროდუქციის ნამეტ წარმოებას, არამედ აგრარული შრომის პრესტიჟულობის ზრდასაც, სოფლად მაცხოვრებელთა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას. ამ ასპექტით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქმიანობის კოოპერაციული ფორმის მხარდაჭერას და წახალისებას, რომელიც იმანენტურად ატარებს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების სინერგიის ეფექტსაც და დარგში არსებული პრობლემების დაძლევის პოტენციალსაც. კოოპერაცია, ისევე როგორც სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სხვა, არამონეტარული ფორმები, უზრუნველყოფენ სოფლის მოსახლეობის ინკლუზიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ამის შედეგად სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას, მიგრაციული პროცესების შეჩერებას, ადგილებზე სამეწარმეო და სოციალური განვითარების რეალური პერსპექტივების შექმნას.

რადგანაც სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება - ეს არაა მხოლოდ სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების ზრდა, ეს აგრეთვე შესაბამისი სტანდარტების ინფრასტრუქტურა და კომუნალური მომსახურებაცაა, ამიტომაც არ შეიძლება სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის კრიტერიუმად კორელაციის მაჩვენებლის გამოყვანა სახელმწიფო სუბსიდირების მასშტაბებსა და წარმოების მოცულობას შორის.

სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობას აქვს „არამატერიალური“ განზომილებაც. - სოფლად ცხოვრების პირობები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სწორედ ამ უკანასკნელის არარსებობა იყო საქართველოდან ბოლო ათწლეულების განმავლობაში სოფლის მოსახლეობის მასობრივი შემცირების და ემიგრაციის ძირითადი მიზეზი. მაგრამ აგრარული წარმოების ეფექტიანობას, სოფლად ცხოვრების, ყოფისა და საქმიანობის სარგებლიანობასა და კომფორტს განსაზღვრავს არა რომელიმე ერთი ფორმა, არამედ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს მონეტარულ და არამონეტარულ ფორმებს, ხოლო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ეფექტიანობის კრიტერიუმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის და დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიდიდე და მათი დინამიკა. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის ხაზით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრის საზღვრები უნდა გაფართოვდეს და მან აგრეთვე უნდა მოიცვას ქართული სოფლის შენარჩუნებისა და მოდერნიზაციის მიმართულებით

განხორციელებული ძალისხმევა, მოსახლეობისაგან სოფლის დაცლისა და ემიგრაციის შეწყვეტა.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე ი., თალაკვაძე გ., კოღუაშვილი პ. მარადიული ქართული სოფელი. თბილისი, „მერიდიანი“, 2024.

არჩვაძე ი., კოღუაშვილი პ. საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. „ეკონომიკა და ბიზნესი”, N3, 2020,

არჩვაძე ი., კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ. სასურსათო უშიშროება ეფექტიან აგროსასურსათო პოლიტიკას ეფუძნება. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XIII. - თბილისი, 2020, გვ. 682-700.

არჩვაძე ი., კოღუაშვილი პ.. სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში 2010-2023 წლებში. - Agronews.ge, 23.07.2024

ასათიანი რ., კოღუაშვილი პ. საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები. მონოგრაფია, თბილისი, 2023

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2023. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2024.

საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და განვითარების ბოლო ათწლეულის ტენდენციები, მონოგრაფია, თბილისი, საქართველოს პარლამენტი, 2023;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. – geostat.ge.

Monetary and Non-Monetary Instruments of the State for Increasing the Efficiency of Agricultural Production

Joseph Archvadze
Doctor of Economics, Professor, Kutaisi University

Abstract

Support of the agricultural sector from the state carries both monetary (allocation, subsidies, transfers, etc.) and non-monetary (legal regulation, taxation regime, preferences for individual regions or productions, programs to support local producers, farm households, etc.) .) forms. At the same time, there are no hard lines of distinction between the specified forms of state support for agriculture. From the point of view of a purely monetary aspect, the increasing expression of attention from the state is increasing the scale of budget financing. Despite this, the growth of volume production in this sector noticeably lags behind the growth of the corresponding government expenditures. If in 2012, each budget ruble directed to the agricultural sector accounted for 73.3 GEL of production in this branch, then in 2023 this ratio decreased 10.3 times - to 7.1 GEL. However, this clearly does not indicate a negative correlation between the growth of budget funds and the reduction of their effectiveness, since the purpose of public funds is not exclusively the growth of volume production. – No less important purpose is the creation of stimulating conditions, environments for entrepreneurial activity. I say otherwise, the current backwardness of the agrarian sector of Georgia is not due to the lack of financing of the agrarian sector by the state, but the result of the low efficiency of the production and business environment, which does not provide high motivation for the corresponding production. Separate high-efficiency farms only confirm that the breakthrough in this field is segmental and not systemic in nature. The government at this stage of development in the agrarian sector of the economy faces the following tasks:

- structural reforms, such institutionalization of organizations and production management, which will ensure progressive, highly effective and highly motivated production;

- attraction of innovative technology and investments;

- implementation of import substitution strategies;

- providing industries with highly qualified specialists of various profiles that meet modern requirements;

- ensuring food security, etc.

Thus, the role of the state in the growth of agrarian production should be considered not only in a narrow "monetary" aspect: "subsidization - volume of production", but also in a non-monetary, institutional aspect: "production environment - volume of production". When considered in the last aspect, the essence and purpose of state subsidies will serve to solve infrastructural,

organizational and technical problems of the agricultural sector. And the strategic task of the growth of the production of the specified branch must be solved by the legal background, the order, which determines and stimulates the state subsidy of the highly effective connection of production factors. This latter implies the forms, methods and scales of government support incentives (formation of a specialized agricultural credit system, agricultural insurance, subsidizing fuel for agricultural work, etc.). The role of the state in the growth of agricultural production implies the presence, interaction and assistance in the process of two most important components - entrepreneurial activity and municipal cooperatives. The non-monetary form of state support and the corresponding infrastructure should also include centers and agencies for the development of enterprises, central and municipal funds of the state, leasing companies, advisory and training centers, guarantee funds, etc. Naturally, the creation of such funds must take place with the active financial and organizational support of the state, as well as donor organizations.

Keywords: agricultural sector, agro-food products, monetary and non-monetary instruments, community cooperation, food security.

JEL: E63; Q18

DOI: 10.52244/c.2024.11.26

References

Agriculture of Georgia 2023. National Statistical Service of Georgia. 2024.

Agriculture of Georgia: Transformation and Trends of the Last Decade of Development, Monograph, Tbilisi, Parliament of Georgia, 2023;

Archvadze I., Koghuashvili P. Georgia's Agriculture Facing Modern Challenges. "Economy and Business", N3, 2020,

Archvadze I., Koghuashvili P., Ramishvili B. Food Security is Based on an Effective Agro-Food Policy. Collection of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU XIII. - Tbilisi, 2020, p. 682-700.

Archvadze I., Koghuashvili P.. The Share of Agriculture in Georgia's Gross Domestic Product and State Budget Expenditures in 2010-2023. - Agronews.ge, 23.07.2024

Archvadze I., Talakvadze G., Koghuashvili P. Eternal Georgian Village. Tbilisi, "Meridian", 2024.

Asatiani R., Koghuashvili P. Agriculture of Georgia - Challenges and Perspectives. Monograph, Tbilisi, 2023

Materials of the National Statistical Service of Georgia. - geostat.ge.